ლ ე ვ ა ნ ს ა მ ხ ა რ ა უ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 50/1

07/04/2026

თბილისი

.... 201 წ.

6000547426

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ემბლემის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილების პირველი მუხლის „დ" პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №255 დადგენილებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში - ბიურო) ემბლემა თანდართული ესკიზის და აღწერილობის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ემბლემის დამტკიცების შესახებ" ბიუროს უფროსის 2022 წლის 14 აპრილის №38/1 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია 2026 წლის 14 აპრილიდან.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი: სსიპ სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მამუკა გონგაძის 2026 წლის 7 აპრილის №49 (ბიუროს რეგისტრაციის №1002945226) წერილი და ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მარიამ შაიშმელაშვილის 2026 წლის 7 აპრილის №6000546626 მოხსენებითი ბარათი.

გიორგი მურვანიძე
ბიუროს უფროსი

6000547426